ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა

2018 წელი

სარჩევი

შესავალი 3

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 2017-2018 4-5

სტრატეგიული მიზანი 1 6-15

მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და განვითარებაზე ორიენტირებული თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

სტრატეგიული ამოცანა 1.1 6-10

ახალგაზრდების სოციალური აქტივობის გაზრდა

სტრატეგიული ამოცანა 1.2 11-13

დევნილების ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა

სტრატეგიული ამოცანა 1.3 ***13-15***

უსახლკაროთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 2 16-19

ტყიბულის მუნიციპალიტეტში გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია

სტრატეგიული ამოცანა 2.1 ***16-18***

ხადაზმულებისთვის სოც. სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია - შინ მოვლა

სტრატეგიული ამოცანა 2.1 ***19-21***

ხადაზმულებისთვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია (სოციალური სალონის მოწყობა)

სტრატეგიული ამოცანა 2.1 ***22-25***

ხადაზმულებისთვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია (სოციალური აბანოს მოწყობა)

სტრატეგიული ამოცანა 2.2 ***25-28***

შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ინკლუზიური გარემოს შექმნა

2018 წლის სამოქმედო გეგმა ცხრილის სახით 29-31

1. შესავალი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგიის 2018 წლის სამოქმედო გეგმა შემუშავდა ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია PIN-ის პროექტის „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“ ფარგლებში, მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელშიც გაწევრიანებულნი არიან თვითმმართველობის, ადგილობრივი სათემო ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროექტი დაფინასებულია ევროკავშირისა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

სამოქმედო გეგმას საფუძვლად დაედო ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგია, რომელიც 2016 წლის ივნისიდან დეკემბრამდე პერიოდში შეიმუშავა ამავე მრჩეველთა საბჭომ.

სტრატეგიისაგან განსხვავებით, რომელიც მოიცავს გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სოციალური სერვისების განვითარებას მუნიციპალიტეტში და განსაზღვრავს ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, სამოქმედო გეგმის დოკუმენტში საუბარია კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლის საშუალებითაც უნდა შესრულდეს ზემოთ აღნიშნული სტრატეგიის პრიორიტეტული მიმართულებები.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

<table>
<tr><td colspan="6">მისია: ტყიბულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ინკლუზიურ და მდგრად თემს, სადაც სოციალური სერვისების შემუშავება ხდება გამჭირვალობისა და ჩართულობის პრინციპებზე დაყრდნობით და მიმართულია ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარებაზე. მუნიციპალიტეტში შექმნილია მოწყვლადი ჯგუფებისათვის შესაძლებლობების რეალიზების ხელშემწყობი გარემო.</td></tr>
<tr><td colspan="3">სტრატეგიული მიზანი 1: მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და განვითარებაზე ორიენტირებული თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა</td><td colspan="2">სტრატეგიული მიზანი 2 გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია</td><td>სტრატეგიული მიზანი 3: ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოციალური სერვისების გაუმჯობესება</td></tr>
<tr><td>ამოცანა 1: ახალგაზრდების სოციალური აქტივობის გაზრდა</td><td>ამოცანა 2: დევნილების ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა და სოციალური ინკლუზია</td><td>ამოცანა 3: უსახლკაროთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა</td><td>ამოცანა 2.1: ხანდაზმულებისთვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია</td><td>ამოცანა 2.2: შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ინკლუზიური გარემოს შექმნა</td><td>ამოცანა 1.3: სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების/სერვისებ ი შემუშავება</td></tr>
<tr><td colspan="6">საქმიანობები:</td></tr>
<tr><td>1.1 ახალგაზრდებისთვის რესურსცენტრის მოწყობა, სათანადო ინვენტარით აღჭურვა</td><td>2.1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში დევნილთა თემში საჭიროებების კვლევა/ანალიზი</td><td>3.1. უსახლკაროებისთვის სოციალური საცხოვრისის მოწყობა/ადმინისტრირ ება</td><td>2.1.1 ხანდაზმულთა შინ მოვლის სერვისის შემუშავება/ამოქმედება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (ბენეფიციართა იდენტიფიცირება, ამბულატორიის ექთნების გადამზადება, მონიტორინგის მეთოდოლოგიის</td><td>2.2.1 შშმ პირთა დასაქმებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავება/პროფესიუ ლი გადამზადება, დასაქმების ხელშეწყობა</td><td>3.1.1. საინფორმაციო ბაზების სრულყოფის მიზნით სამიზნე ჯგუფებში კვლევის ჩატარების ორგანიზება (საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, დახვეწა, საველე სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება)</td></tr>
</table>

			შემუშავება)		
1.2. დასაქმების ბაზრის შესწავლა, სოციალური და ეკონომიკური უნარების ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების ორგანიზება/ჩატარება	2.2. უფასო გადამზადების პროგრამების შემუშავება/ჩატარება,	3.2. ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (მოხალისეთა ქსელის დახმარებით) საკვებით და სხვა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფა	2.1.2 ხანდაზმულთათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება, ბენეფიციართა ჩართვა პროგრამებში	2.2.2. საზოგადოებრივ შენობებზე პანდუსების მოწყობა, ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა	3.1.2. საჯარო შეხვედრების ორგანიზება/მოსახლეობასთან პირდაპირი კომუნიკაცია
1.3 დამსაქმებელთა მოძიება, ანაზღაურებადი სტაჟირების ორგანიზება	2.3. დევნილთა დასაქმების, ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა (საგრანტო კომპონენტის გათვალისწინება)	3.3. უსახლკაროებისთვის ჯანდაცვის პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა		2.2.3 ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შშმ პირებისთვის ახალი სერვისების შემუშავება	3.1.3. მონაცემთა ბაზების ფორმირება/მონაცემთა მუდმივი განახლება
1.4.მოხალისეობრივი აქტივიზმის ხელშეწყობა		3.4. ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უსახლკაროთა საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების შემუშავება, დასაქმებისთვის საჭირო შესაძლებლობების ანალიზი, სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება			3.1.4 მედია საშუალებების, სოციალური ქსელების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოყენება

სტრატეგიული მიზანი 1 - *ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და განვითარებაზე ორიენტირებული თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა*

სტრატეგიული ამოცანა 1.1.
ახალგაზრდების სოციალური აქტივობის გაზრდა

დაგეგმილი საქმიანობა:
1.1.5 სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის გაზრდა

დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა:

პრობლემის დასაბუთება

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებში არის პოტენციალი აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამოქალაქო საქმიანობებში სოციალური კუთხით, მაგრამ არ არსებობს ასეთი ახალგაზრდების ორგანიზებული, მჭიდრო და შეთანხმებული, შედეგზე მკვეთრად ორიენტირებული მიდგომა *(აღნიშნული დადასტურებულია PIN-ის სოციალური პროექტის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტული კვლევისა და საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზის დოკუმენტით)*. მუნიციპალიტეტში არსებობს სათანადო გარემო, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ლიტერატურული კაფე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი“ TDDF, ასევე, თვითმმართველობა ყოველწლიურად საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში მიმართავს საკუთარ ძალისხმევას ახალგაზრდების, მათ შორის სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების შესაძლებლობების გაზრდისათვის, თუმცა ამ ეტაპზე არ არსებობს კონკრეტულად გაწერილი გეგმა და ადგილი, სადაც შესაძლებელია ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა აქტივობების და ღონისძიებების დაგეგმვა. ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ძირითადად მუშაობენ მხოლოდ ერთი მიმართულებით - შემოქმედი ახალგაზრდების სტიმულირებასა და წარმოჩენის კუთხით, ისიც მხოლოდ ქ. ტყიბულის მასშტაბით, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები მოკლებულნი არიან მსგავს ღონისძიებებს გასათვალისწინებელია მათი აქტიური ჩართვა უნარ-ჩვევების განვითარებზე ორიენტირებულ ტრენინგ-კურსების შეთავაზებით და შესაძლებელია აქტიური ახალგაზრდების ფართომასშტაბიანი ქსელის ჩამოყალიბებით. მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე

ახალგაზრდების ცნობიერების დონე საკმაოდ დაბალია, მათ არ აქვთ ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გენდერი, ძალადობა, თანასწორობა, ბავშვთა უფლებები და სხვა. ამის მიზეზი კი, პირველ რიგში, სამოქალაქო განათლების ნაკლებობაა. ახალგაზრდები არ არიან ჩართული სხვადასხვა ტიპის აქტივობებში, მათ არ აქვთ ინიციატივები. ამასთან ხშირად ნეგატიურია მათი მშობლების დამოკიდებულება არაფორმალური განათლების მიმართ, რადგან მათ არ იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლისგარეშე აქტივობებსა და სხვადასხვა ტრენინგებს მათი შვილების განვითარებისთვის. ახალგაზრდებს აქვთ სურვილი და მოტივაცია შეიქმნას მოხალისეობრივი კლუბები, რომლებიც აქტიურად ითანამშრომლებენ მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურთან, სასოფლო დასახლებებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან, ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების გაზრდას და მოხალისეობრივი ინსტიტუტის განვითარებას.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის:

- სამიზნე სკოლების შერჩევა;
- სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირება პროექტის შესახებ;
- ახალგაზრდებისა და მასწავლებლების შერჩევის მიზნით კონკურსის ორგანიზება;
- სამოქალაქო აქტივიზმისა და მოხალისეობის შესახებ კონფერენციის მოწყობა;
- ახალგაზრდული სამოქალაქო კლუბების ჩამოყალიბება;
- ახალგაზრდული კლუბების კონსულტირებისა და საქმიანობის სისტემის ორგანიზება;
- ახალგაზრდული კლუბების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება;
- მოხალისეობრივი აქტივობების ორგანიზება;
- წარმატებული ახალგაზრდული კლუბების წახალისება (სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიის მოწყობა);
- მოხალისეობრივი ქსელის მუდმივი გაფართოება/გრძელვადიანობის შენარჩუნება;
- საინფორმაციო კამპანია

ინდიკატორები:

- ახალგაზრდული სამოქალაქო კლუბების რაოდენობა 5-9 კლუბი;
- მოხალისეთა ქსელში გაწევრიანებული ახალგაზრდების რაოდენობა - 50;
- სამოქალაქო კლუბებში გაწევრიანებული ახალგაზრდების რაოდენობა 40-60 ახალგაზრდა;
- სამოქალაქო კლუბების საქმიანობაში ჩართული მასწავლებლების რაოდენობა 9-15 მასწავლებელი;
- ჩატარებული ტრენინგ-სემინარების რაოდენობა - 7;
- ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა - 20;
- განხორციელებული მოხალისეობრივი აქტივობების რაოდენობა - 15;
- სასწავლო-შემეცნებით ექსკურსიაში მონაწილეთა რაოდენობა - 30

მოსალოდნელი შედეგი:

სასოფლო დასახლებებში ჩამოყალიბდება აქტიური ახალგაზრდებისაგან შემდგარი სამოქალაქო კლუბები, გაიზრდება ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობა. საერთო ჯამში მნიშვნელოვნად გაიზრდება სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშემწყობი ახალგაზრდების რაოდენობა, ეს კი უპირობოდ ხელს შეუწყობს მოხალისეობივი ინსტიტუტის განვითარებას, თვითმმართველობის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, მასთან ახალგაზრდებისა და სამოქალაქო სექტორის საქმიან დაახლოებას. კლუბების სერვისი იქნება ორგანიზებული და შედეგზე გათვლილი.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები:

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა **8 000 ლარი.**

N	Description/აღწერილობა	Unit Cost* ერთ. ფასი	Number/ რაოდენობა	Total Cost ჯამი
1	მონაწილეთა სასტუმროს ხარჯი	35	30 მონაწილე, 4 დღე (4X35=1050; 1050X4=4200)	4200
2	საკანცელარიო ნივთები	300	1	300

3	მონაწილეთა ტრანსპორტირება კონფერენციისათვის	100	4	400
4	მონაწილეთა ტრანსპორტირება ექსკურსიისათვის	500	2	1000
5	სამუშაო გუნდის ტრანსპორტირება, პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები	400	1	400
6	საკომუნიკაციო ხარჯები	300	1	300
7	ტრენერების ტრანსპორტირება	75	4	300
8	ტრენერების ჰონორარი	150	4	600
9	მოხალისეობრილი აქტივობებისათვის ინვენტარის შეძენა (ხელთათმანები, ცელოფნები)	500	1	500
	ჯამი			8 000

შესაძლო დაფინანსების წყარო:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტი
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები;
- ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები

სერვისით მოსარგებლე პირთა (ბენეფიციართა) რაოდენობა და კატეგორია:

#	მომხმარებელთა რაოდენობა	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (სერვისი)	შენიშვნა
1.	სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები	5	ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხებზე, სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდა	

2	დევნილი ახალგაზრდები	10	ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხებზე, სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდა	
3	შშმ ახალგაზრდები	5	ცნობიერების ამაღლება სხვადასხვა საკითხებზე, სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდა	
4	უდედმამო ახალგაზრდები	5	აქტივობები სოციალიზაციისათვის; ტრენინგები	
5	ახალგაზრდები მრავალშვილიანთა ოჯახებიდან	10	აქტივობები სოციალიზაციისათვის; ტრენინგები	
6	შემოქმედი ახალგაზრდები	10	აქტივობები სოციალიზაციისათვის; ტრენინგები	
7	სამოქალაქო განათლების მასწავლებლები	15	აქტივობები სოციალიზაციისათვის; ტრენინგები	
	სულ:	60 ახალგაზრდა		

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

- მოსწავლე ახალგაზრდობასთან არსებული „ლიტერატურული კაფე“
- ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი (TDDF)
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

სტრატეგიული მიზანი 1 - მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და განვითარებაზე ორიენტირებული თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ამოცანა 2. დევნილების ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა და სოციალური ინკლუზია

დაგეგმილი საქმიანობა:
1.2.4 დაწყებითი კლასების მოსწავლეების საჭირო სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფა

დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა:

სასკოლო განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა დევნილთა თემში. კერძოდ, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა (რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) ოჯახების, პირველი-მეოთხე კლასელი მოსწავლეებისათვის საკანცელარიო და სასკოლო ნივთების შეძენა.

პრობლემის დასაბუთება

ტყიბულის მუნიციპალიტეტში დევნილთა სამინისტოს მონაცემებით 350-მდე დევნილია. მათი უმრავლესობა ქ. ტყიბულში, ორგანიზებული ჩასახლების ცენტრებში ცხოვრობს და შესაბამისად, სარგებლობს ქ. ტყიბულში არსებული 6 საჯარო სკოლის მომსახურებით. თემში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და დევნილთა საჭიროებებზე მიმართული მუნიციპალური და სახელმწიფო სერვისების არარსებობის გამო, არასახარბიელოა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალი დევნილის საბინაო პირობები და ეკონომიკური მდგომარეობა, დიდია უმუშევრობა. დევნილთა დიდი ნაწილის არსებობა დამოკიდებულია სახელმწიფო შემწეობასა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებაზე. მძიმე სოციალურ პირობებს ემატება ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა და ხარისხიანი სოციალური მომსახურების – განათლების, ჯანდაცვის - ნაკლებად ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, შეზღუდული ფინანსური რესურსის გამო, იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების შვილები ხშირად მოკლებულნი არიან სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობასაც კი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა (რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) ოჯახების, პირველი-მეოთხე

კლასელი მოსწავლეებისათვის საკანცელარიო და სასკოლო ნივთების შეძენა ერთგვარი სტიმული, მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეულად ცხოვრების პირობების მხარდაჭერისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმისათვის.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის:

- სერვისით მოსარგებლე მოსწავლეთა გამოვლენა;
- მოსწავლეთა ოჯახების ჩართულობით საჭირო საკანცელარიო ნივთებისა და ინვენტარის ჩამონათვალის დაზუსტება;
- საჭირო საკანცელარიო ნივთებისა და ინვენტარის შესყიდვა;
- დევნილი ოჯახებისათვის საკანცელარიო ნივთებისა და ინვენტარის გადაცემა;

ინდიკატორები

- დახმარების მიმღები დევნილი ოჯახების რაოდენობა (წყარო: სოციალური სამსახური) - არანაკლებ 25;
- დახმარების მიმღები დევნილი მოსწავლეების რაოდენობა - 30; შეძენილი საკანცელარიო ნივთების რაოდენობა ;

მოსალოდნელი შედეგი

დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ბავშვისთვის ხელმისაწვდომი გახდება სასკოლო განათლება. I-IV კლასის დევნილი მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან 100 ლარის ღირებულების საჭირო სასკოლო ინვენტარით.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა - 3 000 ლარი.

#	Description/აღწერილობა	Unit Cost* ერთ. ფასი	Number/ რაოდენობა	Total Cost ჯამი
1	I-IV კლასის დევნილი მოსწავლეები	30	100 ლარის ინვენტარი	3 000

შესაძლო დაფინანსების წყაროები:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტი

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია:

#	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	I-IV კლასის დევნილი მოსწავლეები	30	სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფა	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

სტრატეგიული მიზანი 1 - მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და განვითარებაზე ორიენტირებული თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

სტრატეგიული ამოცანა 1.3:
უსახლკაროთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

დაგეგმილი საქმიანობა:
1.3.4. ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უსახლკაროთა საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების შემუშავება, დასაქმებისთვის საჭირო შესაძლებლობების ანალიზი, სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება

დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა:

უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა

პრობლემის დასაბუთება
ტყიბულის მუნიციპალიტეტში არიან ადამიანები, რომლებიც გაუსაძლისი პირობების გამო ხშირად მიმართავენ ტყიბულის მერიის სოციალურ სამსახურს საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის. ტყიბულის მუნიციპალიტეტში დღემდე სამწუხაროდ არ აქვს ფუნქციონირებს სოციალური საცხოვრისი, სადაც შესაძლებელი იქნება მოქალაქეებისთვის

ფართის გამოყოფა. ასევე, ჯერჯერობით არ არსებობს პრაქტიკა, რომ მუნიციპალიტეტმა მოქალაქეებს შეუსყიდოს საცხოვრებელი ან დაფაროს ქირის ხარჯი. ბოლო პერიოდში ხშირია შემთხვევები, როდესაც საცხოვრებით უზრუნველყოფას ითხოვენ მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. აღნიშნული პრობლემა დაისვა თვითმმართველობის წინაშე.

საგულისხმოა, რომ მწირი ბიუჯეტის მიუხედავად სოციალურ ბიუჯეტში შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას გარკვეული თანხა უსახლკარო ადამიანებისთვის საცხოვრისის შესაძენად.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის

- საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის საჭირო კრიტერიუმების განსაზღვრა;
- უსახლკარო მოქალაქის/მოქალაქეების იდენტიფიცირება, მისი (მათი) საჭიროებების,
- კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენა;
- საცხოვრებლის შესაძენი თანხის განსაზღვრა;
- თანხის გადაცემა მოქალაქე(ებ)ისთვის საცხოვრებლის შესაძენად;
- პროცესის მონიტორინგი

ინდიკატორები

- შეძენილი საცხოვრებელი სახლების რაოდენობა;
- საცხოვრისით უზრუნველყოფილი მოქალაქეების რაოდენობა

მოსალოდნელი შედეგი

ტყიბულის მუნიციპალიტეტში მყოფი რამდენიმე ოჯახი (არანაკლებ 5) უზრუნველყოფილი იქნება თავშესაფარით, ისინი თავად მოძებნიან სახლებს და სოციალური სამსახური გამოუყოფს საჭირო თანხას (განისაზღვრება ზედა ზღვარი) ბინის შესაძენად. უსახლკარო ადამიანებს ექნებათ საკუთარი საცხოვრებელი, ექნებათ ხელმისაწვდომლობა სხვადასხვა სერვისებზე, დაცული იქნება მათი რიგი უფლებები, რაც თავშესაფრის არქონის გამო შეზღუდული აქვთ.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები:

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა - 30 000 ლარი. შესაძლო დაფინანსების წყარო - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია.

#	Description/აღწერილობა	Unit Cost* ერთ. ფასი	Number/ რაოდენობა	Total Cost ჯამი
1.	უსახლკარო მოქალაქეებისთვის ბინის შეძენა	6 000 ლარი	5 ოჯახი	30 000

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია:

#	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	უსახლკარო მოქალაქეები **მათ შორის:**	არანაკლებ 5 ოჯახი	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	
2	მრავალშვილიანი ოჯახები	2	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	
3	მარტოხელა მშობლები	1	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	
4	ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები	2	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	

სულ სერვისით მოსარგებლე ოჯახების რაოდენობა: 5 ოჯახი

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

სტრატეგიული მიზანი 2 - ტყიბულის მუნიციპალიტეტში გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია

სტრატეგიული ამოცანა 2.1
ხანდაზმულებისათვის საზოგადოებაში ინტეგრაციის და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა

დაგეგმილი საქმიანობა/მიმართულება:
2.1.3 ხანდაზმულთა შინ მოვლის სერვისის შემუშავება/ამოქმედება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით

პრობლემის დასაბუთება

ქ. ტყიბულში სოციალური სამსახურის მონაცემებით, 100-მდე მარტოხელა მოხუცი ცხოვრობს. ხანდაზმულების უმეტესობა მზრუნველობას და სოციალიზაციას საჭიროებენ. მათ არ აქვთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოამზადონ საკვები, ასევე შესაბამისი პირობების არქონის გამო უჭირთ ჰიგიენის დაცვა. ისინი ძირითადად იზოლირებულნი არიან საზოგადოებისგან და ინფორმაციას, სხვადასხვა სოციალურ პროგრამებსა და მათთვის აქტუალურ საკითხებზე, არ ფლობენ. თვითმმართველობა მხოლოდ ფულად დახმარებას გასცემს მარტოხელა/მარტო მცხოვრებ და 100 წელს გადაცილებულ პირებზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მათი პირობების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა მიმართ მზრუნველობა და მათი მხარდაჭერა, რათა თავი არ იგრძნონ საზოგადოებისგან გარიყულად მათ სჭირდებათ ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურება, ასევე საკვებით უზრუნველყოფა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია, შეიქმნას სერვისი, რომელიც ხელს შეუწყობს მოხუცებს გაუუმჯობესოს ყოფითი პირობები კერძოდ სერვისის ფარგლებში მოხდეს მათი უზრუნველყოფა საკვებითა და სუფთა საყოფაცხოვრებო ნივთებით.

პრობლემის გადასაჭრელად შესაძლებელია შეირჩეს 2 სამედიცინო პერსონალი, რომლის საქმიანობა მიმართული იქნება ხანდაზმულთა სოციალიზაციის ხელშეწყობაზე და მათი საბაზისო საყოფაცხოვრებო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს მოხუცების პირველად სამედიცინო მომსახურებას, ამავდროულად მოუწესრიგებს და დაასუფთავებს სახლს.

სავარაუდო სერვისების ჩამონათვალი:

- სერვისის შესაძლო მიმღებთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და ბაზის მოწესრიგება;
- სამედიცინო პერსონალის შერჩევა

- ხანდაზმულებთან ვიზიტის გრაფიკის გაწერა
- სერვისის განხორციელება
- 20 მარტოხელა ბენეფიციარისთვის 3 თვეში ერთხელ 40 ლარის ღირებულების საკვები მარაგით უზრუნველყოფა
- მონიტორინგი და შეფასება

ინდიკატორები:

- შინ მოვლის სერვისით მოსარგებლე მარტოხელა ხანდაზმულების რაოდენობა - 20;
- 9 თვის განმავლობაში 20 ბენეფიციართან განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა - 360 ვიზიტი;
- სერვისში ჩართული სამედიცინო პერსონალის რაოდენობა - 2 ადამიანი;
- სოციალური პაკეტით (პროდუქტები) წლის განმავლობაში ისარგებლებს 20 ადამიანი 3-ჯერ

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტში დაინერგება ახალი სოციალური სერვისი, რომელიც ხანდაზმულებს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს ყოფით პირობებს. ისინი თავს მეტად საიმედოდ და დაცულად იგრძნობენ. მოხუცები უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებით, გაუმჯობესდება მათი სანიტარული და ჰიგიენური პირობები.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები:

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა 5 980 ლარი.

N	Description/აღწერილობა	Unit Cost* ერთ. ფასი	Number/ რაოდენობა	Total Cost ჯამი
1	საკვები პროდუქტების ღირებულება 20 ბენეფიციარისთვის (ზეთი, შაქარი, ფქვილი, ტკბილეული)	40	20	3
2	ჰიგიენური საშუალებები (ფხვნილი, ფეირი, საპონი)	200	2	1

3	ვიზიტზე მიმსვლელი სამედიცინო პერსონალის ჰონორარი (თვეში ორჯერ მიდის 10 მოხუცთან, სულ თვეში 20 ვიზიტი. 9 თვეში ერთი ადამიანი - 180 და ორი 360 ვიზიტი).	150	2	9
4	პირველადი დახმარების პრეპარატები	300	1	1
5	საკომუნიკაციო ხარჯი (ტელეფონი)	10	2	9
6	**ჯამი:**			**5 980**

შესაძლო დაფინანსების წყაროები:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტი;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები;
- ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია:

#	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	მარტოხელა მოხუცები	20	შინმოვლის პროგრამები; მათი სოციალიზიციის გაზრდის მიზნით განხორციელებული აქტივობები;	

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

- ტყიბულის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;
- ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები

სტრატეგიული მიზანი 2 - ტყიბულის მუნიციპალიტეტში გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია

სტრატეგიული ამოცანა 2.1 ხადაზმულებისთვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია

დაგეგმილი საქმიანობა:
2.1.3. უფასო სასადილოში სოციალური სალონის მოწყობა

პრობლემის დასაბუთება
ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე.წ. უფასო სასადილო, რომლის სერვისითაც ყოველდღიურად, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი 100 ბენეფიციარი სარგებლობს. მათ შორის არიან სოციალურად დაუცველი, მარტოხელა მოხუცები, ვეტერანი მეშახტეები, შშმ პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ მათ უსახსრობის გამო ხშირად უჭირთ თავის მოწესრიგება, მაგალითად, თმისშეჭრა. მათი მხრიდან არაერთხელ გაჟღერდა თხოვნა მუნიციპალიტეტში სალონის ფუქციონირების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ტყიბულის სოციალური სასადილოს ბენეფიციარებისთვის. უფასო სასადილოს ბენეფიციარებიდან ყველაზე ბევრი მარტოხელა მოხუცია, რომელთაც განსაკუთრებულად აქვთ აღნიშნული საჭიროება.
მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოციალური ჩართულობის ხელმისაწვდომლობისა და და საჭიროებების კვლევის თანახმად, რომელიც ჩატარდა PIN-ის პროექტის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების შეფასებისას, აღმოჩნდა, რომ მარტოხელა მოხუცებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ ახალი სერვისების შეთავაზება, რაც მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე.

საგულისხმოა, რომ უმწეოთა სასადილოში არსებობს თავისუფალი ფართი, სადაც შესაძლებელია სალონის მოწყობა. აღნიშნულ ფართს სჭირდება კოსმეტიკური რემონტი, სველი წერტილების მოწესრიგება და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის:
- უფასო სასადილოში არსებული ფართის (დაახ. 10 კვ მ) კოსმეტიკური რემონტი და სველი წერტილების მოწესრიგება;

- სალონისთვის საჭირო ინვენტარი (მაგიდა, სკამი 2, თმის დასაბანი მოწყობილობა, სარკე 2, სავარცხელი, ერთი სავარძელი, თმის საშრობი, მაკრატელი, თმის შესაჭრელი მოწყობილობები, ურნა, აქანდაზი, ცოცხი, იატაკის საწმენდი მოწყობილობა, საკიდი და სხვ.) შეძენა / დამონტაჟება;
- ერთი ადამიანის (სტილისტის) დაქირავება;
- სალონის მუშაობის გრაფიკის შედგენა;
- ბენეფიციართა ინფორმირება სერვისების შესახებ;
- სალონის გახსნა;
- პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება/განხორციელება მერიის სოციალური სამსახურის მიერ.

ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული ფართის მოცულობა - დაახ. 10 $მ^2$;
- სალონისთვის და აბანოსათვის შეძენილი ტექნიკის რაოდენობა;
- სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა - 100-მდე ბენეფიციარი;

მოსალოდნელი შედეგი:

ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარები შეძლებენ თავის მოწესრიგებას, გაუჩნდებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის სურვილი და თავს იგრძნობენ სუფთად და მოწესრიგებულად.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა 6 430 ლარი.

N	Description/აღწერილობა	Unit Cost* ერთ. ფასი	Number/ რაოდენობა	Total Cost ჯამი
1	სალონის რემონტი	3 000	1	3 000
2	სალონის მოწყობილობა	3 000	1	3 000
3	ავზი	130	200 ლტ	130
4	ფარდა, საკიდი	50	1	50

5	სტილისტი	250	1	250
	საერთო ჯამი			6 430 ლარი

დაფინანსების შესაძლო წყარო:
ტყიბულის მუნიციპალიტეტი
სერვისით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რაოდენობა და კატეგორია

#	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარები **მათ შორის:**	100	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა / ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	
1.1.	შშმ ხანდაზმულები	20	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	
1.2.	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების წევრები	50	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	
1.3.	დევნილები	10	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	
1.4.	ხანდაზმულები, რომელთაც გადაადგილება არ შეუძლიათ	20	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	
	სულ ბენეფიციართა რაოდენობა:	**230**		

პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება
ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

სტრატეგიული მიზანი 2 - ტყიბულის მუნიციპალიტეტში გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია

სტრატეგიული ამოცანა 2.1 ხადაზმულებისთვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია

დაგეგმილი საქმიანობა:
2.1.3. უფასო სასადილოში სოციალური აბანოს მოწყობა

პრობლემის დასაბუთება
ტყიბულის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ე.წ. უფასო სასადილო, რომლის სერვისითაც ყოველდღიურად, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი 100 ბენეფიციარი სარგებლობს. მათ შორის არიან სოციალურად დაუცველი მოხუცები, ვეტერანი მეშახტეები, შშმ პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ მათთვის ერთ-ერთი პრობლემური საკითხი არის პირადი ჰიგიენის მოწესრიგება. მათი მხრიდან არაერთხელ გაჟღერდა თხოვნა მუნიციპალიტეტში სოციალური აბანოს ფუქციონირების შესახებ. უფასო სასადილოს ბენეფიციარებიდან ყველაზე მეტი მარტოხელა მოხუცია, რომელთაც განსაკუთრებულად აქვთ აღნიშნული საჭიროება. გარდა ამისა, ქალაქში აღარ არსებობს საზოგადოებრივი აბანო, სადაც შესაძლებელი იქნება მათთვის მომსახურების შეთავაზება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოციალური ჩართულობის ხელმისაწვდომლობისა და და საჭიროებების კვლევის თანახმად, რომელიც ჩატარდა PIN-ის პროექტის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების შეფასებისას, აღმოჩნდა, რომ მარტოხელა მოხუცებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ ახალი სერვისების შეთავაზება, რაც მორგებული იქნება მათ საჭიროებებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უმწეოთა სასადილოში არსებობს თავისუფალი ფართი, სადაც შესაძლებელია სოციალური აბანოს მოწყობა. აღნიშნულ ფართს ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი, სველი წერტილების მოწესრიგება და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის:

- უფასო სასადილოში არსებული ფართის (15 კვ მ) კოსმეტიკური რემონტი და სველი წერტილების მოწესრიგება;
- აბანოსთვის საჭირო ინვენტარი (წყლის ავზი, 2 დუში, წყლის გამაცხელებელი - 2, ჰიგიენური საშუალებები, აბანოს ქოშები, ტანსაცმლის საკიდები, მაგიდა, სარკე 2 ცალი, ურნა, იატაკის საწმენდი მოწყობილობა, სადეზინფექციო საშუალებები);
- ერთი ადამიანის (აბანოს ადმინისტრატორი) დაქირავება;
- სალონის და აბაზანის მუშაობის გრაფიკის შედგენა;
- ბენეფიციართა ინფორმირება სერვისების შესახებ;
- სოციალური აბანოს ამოქმედება;
- პროცესის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება/განხორციელება სოციალური სამსახურის მიერ.

ინდიკატორები

- რეაბილიტირებული ფართის მოცულობა - დაახ. 15 $მ^2$;
- სოციალური აბანოსათვის შეძენილი ტექნიკის რაოდენობა;
- სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა - 100-მდე ბენეფიციარი;

მოსალოდნელი შედეგი:

ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარებს გაუუმჯობესდებათ პირადი ჰიგიენური პირობები, შეძლებენ თავის უფრო ხშირად მოწესრიგებას, გაუჩნდებათ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის სურვილი, თავს იგრძნობენ სუფთად და მოწესრიგებულად.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები:

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა - 7 040 ლარი.

N	Description/აღწერილობა	Unit Cost* ერთ. ფასი	Number/ რაოდენობა	Total Cost ჯამი
1	სააბაზანოს რემონტი	5 000	1	5 000
2	წყლის გამათბობელი (არისტონი) – 80 ლტ.	300	2	600

3	ავზი	250	1 ტონა	250
4	მეტალო-პლასმასის კარები	230	3	690
5	ინვენტარი (მაგიდა, სკამი, საკიდები, სააბაზანოს ქოშები, დუში, იატაკის საწმენდი, ურნა, ფარდები, ხელსაბანი ნიჟარა, ვედრო და სხვ.)	400	1	400
6	სოციალური აბანოს ადმინისტრატორი	100	1	100
	საერთო ჯამი			**7 040 ლარი**

დაფინანსების შესაძლო წყარო: ტყიბულის მუნიციპალიტეტი; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა (ბენეფიციართა) რაოდენობა და კატეგორია

#	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარები **მათ შორის:**	100	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა / ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	
1.1.	შშმ ხანდაზმულები	20	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	
1.2.	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების წევრები	50	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	

1.3.	დევნილები	10	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	
1.4.	ხანდაზმულები, რომელთაც გადაადგილება არ შეუძლიათ	20	სოციალური სამრეცხაოს სერვისით სარგებლობა	

პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური; ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ჩაერთვებიან ამ პროექტში.

სტრატეგიული მიზანი 2 - ტყიბულის მუნიციპალიტეტში გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია

სტრატეგიული ამოცანა 2.2

შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ინკლუზიური გარემოს შექმნა

დაგეგმილი საქმიანობა:

2.2.3 სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება შშმ პირების მხარდაჭერისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის საკითხებზე.

პრობლემის დასაბუთება

ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში 1 681 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. შშმ პირები ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალი პრობლემის წინაშე დგანან. მათ უმრავლესობას არ ეძლევა სრულფასოვანი ცხოვრებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საშუალება. მუნიციპალიტეტში არ არსებობს არც შესაბამისი ინფრასტრუქტურა და არც სპეციალური პროგრამები, რაც ხელს შეუწყობდა მათ საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას. უფრო მეტიც მათთვის ხელმიუწვდომელია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლება. არაადაპტირებული გარემოსა და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების გამო ისინი

იზოლირებულნი არიან გარე სამყაროსგან და ვერ ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამის გამო, ისინი თავს ხშირად არ მიიჩნევენ საზოგადოების სრულუფლებიან და დამოუკიდებელ წევრებად, უვითარდებათ დახმარებაზე დამოკიდებულების სინდრომი, უინიციატივობა და პესიმიზმი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ნაკლებად არიან ჩართული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. ეს კი იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის გაუცხოებას.

შშმ პირების მხარდაჭერისა და სოციალიზაციის ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვან შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლების ცნობიერების დაბალი დონე შშმ პირთა მხარდაჭერის, შესაბამისი პროგრამებისა და პროექტების ჩამოყალიბებისა და რეალიზების საკითხებზე. ამ კუთხით, მუნიციპალიტეტში არსებული ინსტიტუციური ცნობიერების დონე, შესაბამისი გამოცდილების არქონის გამო, ძალზე დაბალია. მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული ინკლუზიური განათლების პროგრამის ფარგლებში სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს აწოდებენ სერვისს, მაგრამ ამ სერვისის ხარისხიც მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს, ის შშმ პირები კი, რომელნიც არ არიან სასკოლო ასაკის ან მათი მდგომარეობის გამო ვერ სარგებლობენ ინკლუზიური განათლების პროგრამით, საერთოდ მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას.

აქტივობები სერვისის მიწოდებისთვის:

- საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან გასაუბრება შშმ პირთა საკითხებზე;
- ტრენინგის მომწოდებელი ორგანიზაციის შერჩევა;
- სატრენინგო თემატიკის განსაზღვრა;
- ტრენინგი საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის;
- შშმ პირთა მხარდაჭერისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის საკითხებზე პროგრამის მონახაზის ჩამოყალიბება, შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შემუშავება

ინდიკატორები:

- საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლთა შორის გამოკითხვაში ჩართულ მონაწილეთა რაოდენობა;
- ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა;
- შშმ პირთა მხარდაჭერისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის საკითხებზე საპროექტო იდეების რაოდენობა;

მოსალოდნელი შედეგი:

მოხდება საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლების ინფორმირება შშმ პირების მხარდაჭერისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის საკითხებზე. მუნიციპალიტეტისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ ჩამოაყალიბდება შშმ პირთა მხარდაჭერის ერთობლივი პროგრამის მონახაზი, შემუშავდება შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

სავარაუდო ბიუჯეტი და დაფინანსების წყაროები

დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა **3 000** ლარი.

N	Description/აღწერილობა	Unit Cost* ერთ. ფასი	Number/ რაოდენობა	Total Cost ჯამი
1.	ტრენერის ჰონორარი	300	4 ტრენინგი, 2 ტრენერი	2 400
2.	სასტუმროს ხარჯი ტრენერებისათვის	50	4	200
3.	საკანცელარიო	300	1	200
4.	საკომუნიკაციო ხარჯები	200	1	200
	ჯამი			**3 000**

შესაძლო დაფინანსების წყაროები:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტი,

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები
- ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები.

სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა და კატეგორია

#	მომხმარებელთა კატეგორია	რაოდენობა	გათვალისწინებული დახმარება (მომსახურება)	შენიშვნა
1.	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები	10	პროფესიული და პიროვნული გაძლიერება	
2.	სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები	10	პროფესიული და პიროვნული გაძლიერება	
3.	საჯარო სკოლების წარმომადგენლები	10	პროფესიული და პიროვნული გაძლიერება	

სულ ბენეფიციართა რაოდენობა 30

განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია/დაწესებულება

- ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური;
- საზოგადოებრივი ორგანიზაციები

N	სტრატეგიული მიზანი და ამოცანა	აქტივობების დასახელება	სამიზნე ბენეფიციარები	ბენეფიციართა რაოდენობა	განხორციელების ადგილი	ბიუჯეტი	დაფინანსების წყარო
1	სტრატეგიული მიზანი 1; ამოცანა 1.1	სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის გაზრდა, ტრენინგ-სემინარების ჩატარება	ტყიბულის თემში, სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდები	60	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	8 000	ტყიბულის მუნიციპალიტეტი; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები
2	სტრატეგიული მიზანი 1; ამოცანა 1.2	დაწყებითი კლასების მოსწავლეების საჭირო სასკოლო ინვენტარით უზრუნველყოფა	დევნილთა თემში მცხოვრები - I-IV კლასის მოსწავლეები	30	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	3 000	ტყიბულის მუნიციპალიტეტი სოციალური დაცვის სამსახური

3	სტრატეგიული მიზანი 1; ამოცანა 1.3	უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა	უსახლკარო ადამიანები, მათ შორის მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა მშობლები, ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები	არანაკლებ 5 ოჯახი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	30 000	ტყიბულის მუნიციპალიტეტი
4	სტრატეგიული მიზანი 2; ამოცანა 2.1	ხანდაზმულებზე ზრუნვის ახალი სერვისების (შინ მოვლის სერვისის) განვითარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით	მარტოხელა მოხუცები	20	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	5 980	ტყიბულის მუნიციპალიტეტი; საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები; ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციები
5	სტრატეგიული მიზანი 2; ამოცანა 2.1	უფასო სასადილოში სოციალური სალონის მოწყობა	უფასო სასადილოს ბენეფიციარები, მარტოხელა ხანდაზმულები,	100	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	6 430	ტყიბულის მუნიციპალიტეტი

			დევნილები, შშმ პირები				
6	სტრატეგიული მიზანი 2; ამოცანა 2.1	უფასო სასადილოში სოციალური აბანოს მოწყობა	უფასო სასადილოს ბენეფიციარები, მარტოხელა ხანდაზმულები, დევნილები, შშმ პირები	100	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	7 040	ტყიბულის მუნიციპალიტეტი
7	სტრატეგიული მიზანი 2; ამოცანა 2.2	სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება შშმ პირების მხარდაჭერისა და სოციალიზაციის ხელშეწყობის საკითხებზე	**პირდაპირი:** მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, საჯარო სკოლების წარმომადგენლები **ირიბი ბენეფიციარები:** შშმ პირები	30	ტყიბულის მუნიციპალიტეტი	3 000	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, დონორი ორგანიზაციები